თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3659056

ნომერი: AR1553088

თარიღი : 29.10.2017

გაცემის თარიღი : 17.11.2017

გაცნობის თარიღი : 17.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , N 79 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით შენგელია პ/ნ 01024003652
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24ბ ბ. 24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 29 ოქტომბრის №AR1553088 განცხადებით მომართა მოქ. დავით შენგელიამ და მოითხოვა სამსახურის 2014 წლის 17

ნოემბრის №1599084 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. #79–ში, შ.პ.ს. გერმანული სამშენებლო კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს.კ: №01.12.04.001.145 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 18 ნოემბრიდან 2017 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით შეთანხმებულ საპროექტო გეგმებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებით შეთანხმებული სარდაფის სართულის (-3.30 ნიშნული), პირველი სართულის (0.00 ნიშნული), მეორე სართულის (3.30 ნიშნული), მესამე სართულის (6.60 ნიშნული), მეოთხე სართულის (9.90 ნიშნული), მეხუთე სართულის (13.20 ნიშნული), მეექვსე სართულის (16.50 ნიშნული), მეშვიდე სართულის (19.80 ნიშნული), მერვე სართულის (23.00 ნიშნული), მეცხრე სართულის (26.30 ნიშნული) და სახურავის საპროექტო გეგმების, 2017 წლის 29 ოქტომბრის №AR1553088 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით ჩანაცვლებას.
სამსახურმა 2017 წლის 29 ოქტომბრის №AR1553088 განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო გეგმები შეადარა სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო გეგმებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ჩანაცვლდეს სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებით შეთანხმებული სარდაფის სართულის (-3.30 ნიშნული), პირველი სართულის (0.00 ნიშნული), მეორე სართულის (3.30 ნიშნული), მესამე სართულის (6.60 ნიშნული), მეოთხე სართულის (9.90 ნიშნული), მეხუთე სართულის (13.20 ნიშნული), მეექვსე სართულის (16.50 ნიშნული), მეშვიდე სართულის (19.80 ნიშნული), მერვე სართულის (23.00 ნიშნული), მეცხრე სართულის (26.30 ნიშნული) და სახურავის საპროექტო გეგმები 2017 წლის 29 ოქტომბრის №AR1553088 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.